



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №7

ქალაქი ბათუმი

2021 წლის 25 ივნისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | |
|----------------------|--|
| თამაზ სალუქვაძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების
კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე; |
| ელგუჯა ანდრიაძე | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |

- | | |
|-------------------|---|
| ნატალია მიმიგური | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - ბათუმელები“ თავმჯდომარე; |
| ნერიმან ცინცაძე | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - ბათუმელები“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ანზორ დევაძე | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - ჩვენი ბათუმისათვის“ თავმჯდომარე; |
| რაულ თავართქილაძე | - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე; |
| არჩილ მამულაძე | - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნოდარ დუმბაძე | - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| მუხამედ ართმელაძე | - საკრებულოს წევრი; |
| ვაჟა რამიშვილი | - საკრებულოს წევრი |
| ნაზი ფუტკარაძე | - საკრებულოს წევრი |

არ ესწრებოდნენ:

- | | |
|------------------|---|
| მირდატ ქამადაძე | - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე; |
| დიმიტრი ჭეიშვილი | - საკრებულოს წევრი; |
| თემურ კახიძე | - საკრებულოს წევრი; |
| ომარ მახარაძე | - საკრებულოს წევრი; |
| ირაკლი თოფურაძე | - საკრებულოს წევრი; |
| თამაზ დევაძე | - საკრებულოს წევრი; |
| გელა დეკანაძე | - საკრებულოს წევრი; |

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;
 - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ლელა სურმანიძე;
 - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სოფიო ხალვაში;
 - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
 - ქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
 - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;
 - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
 - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე;
 - შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორი ლევან ლაზარიაშვილი;
 - შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ადმინისტრაციის უფროსი-მარადი სანიკიძე;
 - ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი - ჯაბა ბერიძე;
 - ა(ა)იპ - „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - ალექსანდრე მჭავანაძე;
 - ა(ა)იპ - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ დირექტორი - თენგიზ აფხაზავა;
 - შპს „სანდასუფთავებას“ დირექტორი - სულხან ევგენიძე.
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**
- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
 - საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და წარმატებული დღე უსურვა, ასევე მან აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 3 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა. ასევე მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №72 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე - მიესალმა კოლეგებს, დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქუჩების რეაბილიტაცია მიმდინარეობს ბონი-ბარცხანის დასახლებაში, ინფორმაციის სახით მიაწვდის, რომ კარგია ქუჩების კეთება, მაგრამ ხიდის რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობა ნელი ტემპით ხორციელდება. ფაქტობრივად ვერ ნახა მუშები შესაბამის საქმიანობის განხორციელების დროს. ამ გარემოებამ გადატვირთა თამარის დასახლების ქუჩები. მიმართა თხოვნით სამუშაოების დაჩქარების მიზნით. ასევე თამარის დასახლების ცენტრალური ნაწილი მოწესრიგდა, თუმცა არის სამარცხვინო მდგომარეობა - ბაზარი, სადაც ბაზართან ერთად გასაკეთებელია საზოგადოებრივი საპირფარეო. გარდა ამისა, იქვე არის ბენეფიციართა სასადილო, თუმცა ადამიანები გადაამისამართეს სხვა სასადილოებში და არიან ადამიანები, რომლებსაც გადაადგილება უჭირთ. დასვა კითხვა - აღნიშნული სამუშაოს დამთავრების დროის თაობაზე. ქალაქის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, როდესაც მისმა ყოფილმა პარტიამ დააყენა საკითხი პარლამენტში განსახილველად, ამის შემდეგ გაქრა ეს საკითხი და აღარ მიეცა საკითხის განხილვის მსვლელობა. ბათუმთან შემოერთებული ტეროტორიები, რომელიც არის სოფლის ტიპის დასახლებები აქვთ მიწასთან დაკავშირებული პრობლემები, აღიარების კომისიის წესთან მიმართებაში იმდენად კაბალური გახდა, რომ შეუძლებელია თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის თუ სხვა საგნის დარეგისტრირება. მიმართა თხოვნით, რომ გაკეთდეს ერთობლივი განცხადება ან მიმართვა საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი - ნაზი ფუტყარაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ მუნიციპალურ სასადილოებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბენეფიციარები ითხოვდა სურსათის ადგილზე დარიგებას. ასევე ბაღების გაერთიანებიდან რატომ ანთავისუფლებენ კვალიფიციურ კადრებს და რატომ ღებულობენ პოლიტიკური ნიშნით თანამშრომლებს. გარდა ამისა ერთ-ერთ საბავშვო ბაღში იყო კლანი შექმნილი, სადაც გროვდებოდა სურსათი და მანქანებით გაქონდათ, რომლის ფაქტები და ფოტო მასალები არსებობს. ბარცხანის მოსახლეობა უღებდა ფოტოებს, რომელიც გათავისუფლდა თანამდებობიდან, თუმცა ერთ-ერთ ბაღში მეთოდისტად დანიშნეს.

საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე გააკეთა განცხადება პორტთან დაკავშირებით, პორტის ახალაშენებული

ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე მასიურად დაყრილი იყო ნივთიერება კოქსი, რომელიც არის სანაპირო ზოლთან და ზღვაშიც ჩაედინება, რომელიც მომწამლავი არის. ტერიტორიის მოწესრიგება აუცილებელია. მან ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარეს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ ბათუმში საცურაო აუზის მშენებლობა დაანონსა. წლების განმავლობაში მოსახლეობა ელოდება, რომ მუნიციპალური საცურაო აუზი ჰქონდეს ქალაქს. ასევე ბულვარი არის სავიზიტო ქალაქი და დამსვენებლები ათვალიერებენ, გამომდინარე აქედან კარგი იქნება პარკინგის, დერეფნის გაკეთება და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ეკოლოგიური კუთხით ხელვაჩაურის შემოერთებული ტერიტორია სატვირთო მანქანების გამო დაბინძურებულია, რაც მოსაწესრიგებელია.

საკრებულოს წევრი - ნოდარ დუმბაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ დღევანდელი მოწვევის საკრებულოს რამდენიმე თვე დარჩა თვითმმართველობის არჩევნებამდე. მეოთხე მოწვევის საკრებულოს წევრია, აქედან ორი მოწვევა ოპოზიციურ პარტიაშია და ოპონენტობა და კრიტიკა უწევს ხელისუფლების ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ბიუჯეტის ცვლილებას რაც შეეხება, კარგი იქნება ყოველი წელი არჩევნების წელი ყოფილიყო, რადგან ამ პერიოდში ახსენდებათ გასაკეთებელი საქმეები.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება მერის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ ჩიქოვანი, რომელიც დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს წარმოადგენს და ასევე მიმდინარე კითხვებზე პასუხს გასცემს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქვეყნის მასშტაბით ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და რისკების ეფექტურმა მართვამ, გამჭვირვალე საპრივატიზებო და საინვესტიციო გარემოს შექმნამ მკვეთრად გააუმჯობესა ეკონომიკური აქტივობები, რამაც შედეგად მოგვცა ეკონომიკური ზრდის დადებითი დინამიკა.

რამდენიმე დღის წინ დამტკიცდა აჭარის ა.რ. ბიუჯეტი, რომელიც აღემატება 414 მილიონ ლარს და არის პრეცედენტული და ისტორიული.

აღნიშნული სულისკვეთება ასახულია ქალაქ ბათუმის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში, რომელიც იზრდება 46 მილიონ 807 ათას 300 ლარით და შეადგენს 204 მილიონ 800 ათას ლარს.

ქალაქი უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. ბევრი ქუჩა არის დარჩენილი, რომელსაც მოწესრიგება სჭირდება. გაზრდილი ბიუჯეტის შედეგად შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი პროექტების ინიცირება და ძალიან მალე, ბევრი პრობლემური საკითხი ეფექტურად გადაიჭრება. ბიუჯეტის კორექტირებისას მაქსიმალურად გაითვალისწინეს სოციალური პასუხისმგებლობა და, ამავე დროს, კვლავ პრიორიტეტულია ინფრასტრუქტურის განვითარება.

გაზრდილი ბიუჯეტი ბათუმელებისათვის ნიშნავს:

-ქალაქის სწრაფ განვითარებას

-საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მეტი პროექტის განხორციელებას

-ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის ამაღლებას

-მეტი სამუშაო ადგილის გაჩენას

-სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

-ბიუჯეტის შემოსავლების მატების შედეგად გაიზარდა:

-სათამაშო მოსაკრებელი 5 მილიონ 410 ათასი ლარით

-ტრანსფერი 29 მილიონ 958 ათას 300 ლარით

-საპრივატიზაციო ობიექტებიდან დამატებითი შემოსავალები 8 მილიონ 100 ათასი ლარით.

-პროგრამულ ჭრილში ბიუჯეტი გაიზარდა შემდეგი მიმართულებებით:

-ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 628 ათას 200 ლარი.

-ინფრასტრუქტურის განვითარება - 36 მილიონ 412 ათას 700 ლარი.

-ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 3 მილიონ 331 ათას 700 ლარი.

-განათლება და კულტურა - 1 მილიონ 949 ათასი ლარი.

-სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა - 3 მილიონ 630 ათას 300 ლარი.

-მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება - 2 მილიონ 500 ათასი ლარი. დაგეგმილია 40 ერთეული ავტობუსის შეძენა.

-ჯანმრთელობის დაცვა

-39 ათას 500 ლარით გაიზარდა 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით, ცელიაკით, გალაქტოზემიითა და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირთა და 18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარების ოდენობა.

-20 ათასი ლარი დაემატა მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის პროგრამას.

-მოქალაქეთა მაღალი მომართვიანობის საფუძველზე, 211 ათას 900 ლარით გაიზარდა ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის პროგრამის ბიუჯეტი. პროგრამაში დამატებით 200 ბენეფიციარი ჩაერთვება.

-164 ათას 500 ლარით გაიზარდა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის ბიუჯეტი. დაემატა 20 გაკვეთილი და 10 ბენეფიციარი.

-70 ათასი ლარი დაემატა ღვიძლის ტრანსპლანტაციისა და ძვლის ტვინის გადანერგვის საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამის ბიუჯეტს.

-162 ათას 700 ლარით გაიზარდა მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარება.

- სოციალური უზრუნველყოფა
- ჯავახიშვილის #82-ში მდებარე სოციალური სახლების მშენებლობის დაფინანსებას 1 მილიონი ლარი დაემატა.
- ურეხის ხანდაზმულთა ღამის თავშესაფრის რეკონსტრუქცია-ადაპტაციისთვის 250 ათასი ლარი გამოიყო.
- ე.წ. შანხაის დასახლებაში სოციალური სახლის მშენებლობისთვის 250 ათასი ლარი გამოიყო.
- 254 ათასი ლარით გაიზარდა მუნიციპალური სასადილოების დაფინანსება. დაემატება 1480 ბენეფიციარი.
- განათლება-კულტურა
- ბათუმში 3 ახალი საბავშვო ბაღი აშენდება, რისთვისაც 1 მილიონ 500 ათასი ლარი გამოიყო.
- სრულდება კიდევ ერთი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.
- მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში, ენერგოეფექტურობის სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებით 450 ათასი ლარი გამოიყო.
- 735 ათასი ლარი დაიხარჯება მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაციისთვის, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონეა.
- კულტურული ძეგლის რეაბილიტაცია განხორციელდება 26 მაისის ქ. #19-ში, რისთვისაც 184 ათასი ლარი გამოიყო.
- დამატებით, კიდევ ერთი კულტურული ძეგლი რეაბილიტირდება აბაშიძის ქ. #6-ში.
- საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერის ფარგლებში, ფესტივალების დაფინანსება 55 ათასი ლარით გაიზარდა.
- კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერისთვის დამატებით 50 ათასი ლარი გამოიყო.
- ფესტივალს „ბათუმი ღია ცის ქვეშ“ 250 ათასი ლარი დაემატა.
- მასობრივი სპორტის განვითარება და სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია
- 500 ათასი ლარით გაიზარდა სპორტული მოედნების მშენებლობის დაფინანსება. ჯამში, წელს, 26 სპორტული მოედანი რეაბილიტირდება.
- 950 ათასი ლარით გაიზარდა სპორტული ტრენაჟორების შექმნა-განახლების ღონისძიებები. სპორტული ინვენტარი 45 მისამართზე განთავსდება.
- სხვადასხვა სპორტული ღონისძიებისა და ფესტივალის განხორციელებისთვის დაფინანსება გაიზარდა 73 ათას 300 ლარით.
- მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში გამარჯვებული პროექტების დაფინანსება გაიზარდა ქართული ჭიდაობისა და კალათბურთის მოედნების მშენებლობისათვის.
- რეკრეაციული სივრცეების მოწყობა
- 1 მილიონი 630 ათასი ლარი დაიხარჯება 7 ახალი სკვერის მშენებლობისთვის.
- ამჟამად 12 ახალი სკვერის მშენებლობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს.
- გონიოს სანაპირო ზოლსა და სხვადასხვა სარეაკრეაციო სივრცეში სპეციალური ინვენტარის განსათავსებლად 1 მილიონ 400 ათასი ლარი დაიხარჯება.
- წელს ბათუმში ერთი მილიონი ყვავილისა და 300-მდე ხე-მცენარის დარგვა მიმდინარეობს. 200 ათასი ლარით იზრდება დაფინანსება და დამატებით 670 ხე-მცენარე იქნება შესყიდული.
- ინფრასტრუქტურის განვითარება

-4 მილიონი ლარი გამოიყო წყალარინების სისტემის რეაბილიტაციისთვის, რომელიც სამრეწველო ადმინისტრაციულ ერთეულში (ოცნების ქალაქში) განხორციელდება.

-1 მილიონ 500 ათასზე მეტი ლარით გაიზარდა დაფინანსება სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის, რომელიც მოიცავს ფერდსამაგრი კედლების, გზისა და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას. სამუშაოები დამატებით 40-ზე მეტ მისამართზე განხორციელდება.

-ბეტონის საფარის მოწყობის დაფინანსება იზრდება 1 მილიონ ლარამდე, რომელიც 38 მისამართის რეაბილიტაციას მოხმარდება.

-სანიაღვრე სისტემების კაპიტალური რეაბილიტაციისთვის 939 ათასი ლარი გამოიყო.

-სანიაღვრე სისტემის მასშტაბური ღონისძიებები გატარდება თამარ მეფის გამზირის #47-ში, რისთვისაც 150 ათასი ლარი დაიხარჯება.

-სანიაღვრე სასტემები მოეწყობა გოგოლიშვილის ქუჩაზე, რისთვისაც 200 ათასი ლარი გამოიყო.

-ბაქრადის ქუჩაზე დამცავი კედლის მოწყობის ბიუჯეტი 850 ათას 941 ლარს შეადგენს.

-საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის დაფინანსება გაიზარდა 9 მილიონ 150 ათასი ლარით და შეადგენს 43 მილიონ ლარზე მეტს.

-სულაბერიძის ქუჩის მონაკვეთის, ბაგრატიონის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე მიმართულებით, II ეტაპის (გიორგი სააკაძის ქუჩიდან გიორგი ბრწყინვალეს ქუჩამდე) კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსება 3 მილიონ 733 ათას 390 ლარით იზრდება.

-950 ათასი ლარი გამოიყო აღმაშენებლის ქუჩაზე უსაფრთხოების კუნძულის მოსაწყობად და კობალაძის ქუჩის რეაბილიტაციისთვის.

-ლორთქიფანიძის ქუჩის კეთილმოწყობისათვის 800 ათასი ლარი გამოიყო.

-მ. ვარშანიძის ქუჩის მონაკვეთის (სულაბერიძიდან შავშეთის ქუჩამდე) რეაბილიტაციისთვის 1 მილიონამდე ლარი გამოიყო.

-აფსაროსის III შესახვევის გაგრძელების რეაბილიტაციისთვის 200 ათასი ლარი გამოიყო.

-ანდრია პირველწოდებულის II შესახვევის გაგრძელების კეთილმოწყობისთვის 400 ათასი ლარი დაიხარჯება.

-ჩაქვის ქუჩის კეთილმოწყობა 237 ათას 888 ლარს შეადგენს.

-ფრიდონ ხალვაშის IV ჩიხის კეთილმოწყობისათვის 126 ათას 800 ლარი გამოიყო.

-ასფალტირებული ქუჩების ორმოული შეკეთების დაფინანსება გაიზარდა 500 ათასი ლარით.

-არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისთვის 159 ათას 200 ლარი გამოიყო.

-გარეგანათების ქსელის განვითარების დაფინანსება 2 მილიონ 120 ათასი ლარით გაიზარდა.

-თამარის დასახლებაში სანაპიროს გასწვრივ დეკორატიული განათების რეაბილიტაციისთვის 550 ათასი ლარი გამოიყო.

-ევროპის მოედანზე მედეას ძეგლის რეაბილიტაციისთვის 592 ათას 333 ლარი გამოიყო.

-კომუნალური ინფრასტრუქტურის თანადაფინანსებისათვის 3 მილიონ 901 ათასი ლარი გამოიყო.

-ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება 7 მილიონამდე ლარით გაიზარდა.

განხორციელდება:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია
- მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზებული ლიფტების ახლით ჩანაცვლება
- ეზოების რეაბილიტაცია
- ატრაქციონების რეაბილიტაცია და სხვა მნიშვნელოვანი პროექტები.
- ამხანაგობების თანამონაწილეობის წილი შემცირდა 1 %-მდე.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იზრდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები - 44,468.3 ათასი ლარით. მათ შორის: - სპეციალური ტრანსფერი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან – 1,191.5 ათასი ლარით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა თანხა (ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის“ პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით; - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 28 766.8 ათასი ლარით, გაიზარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ნაწილში, კერძოდ კაპიტალური ტრანსფერი - 16,959.0 ათასი ლარით, ხოლო სპეციალური ტრანსფერი - 11,807.8 ათასი ლარით, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები ზრდის გათვალისწინებით 74,666.8 ათასი ლარით განისაზღვრა;

მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობისათვის.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი არჩილ მამულაძე - მიესალმა წარმოდგენილ ცვლილებას, რომელიც მიმართულია ქალაქის განვითარებისაკენ. მან შემოიტანა კორექტივები, რომელიც ეხებოდა თამარის დასახლებაში, მარკოზ აჭარელის ქუჩის მიმდებარედ 100 კაციანი ხელმოწერილი წერილი ავტოგადამზიდი მანქანების სადგომის გამოთავისუფლების შემდეგ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის აშენების თაობაზე, ასევე მეჯინისწყალზე, კახაბრის დასახლების პირველ შესახვევში მსგავსი ტიპის, რაიმე სახის გასართობი არ არის, რომელიც გასათვალისწინებელია მომავალში. გარდა ამისა, ამხანაგობების თავმჯდომარეებზე სტიმულის მისაცემად გასათვალისწინებელია წახალისება, რადგან მოსახლეობის წინაშე ვალდებულება აქვთ. წლების განმავლობაში კულტურულ დაწესებულებებს ხელმძღვანელობდა, დასვა კითხვა მუსიკალური ნიჭის გამოვლენის მიზნით იგეგმება თუ არა პროგრამა, რომელიც ჩატარდება ქალაქ ბათუმში. ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით მოსაწესრიგებელია საპირფარეოები.

საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე - მნიშვნელოვანი დოკუმენტი შემოვიდა ინფრასტრუქტურული კუთხით. რამდენიმე დღის წინ ქალაქის ერთ-ერთ კორპუსზე ჩამოინგრა დერეფანი, უსახური მიშენებები და დერეფნები ამახინჯებენ ქალაქს. პრაქტიკულად

ძველი კორპუსები ავარიულ მდგომარეობაშია. ასევე დასვა კითხვა მდინარე ჭოროხზე ხიდის მშენებლობის აშენების თაობაზე.

საკრებულოს წევრი ნაზი ფუტყარაძე - ბარცხანაში გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი მანქანის მიერ ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა, მოსახლეობიდან შემოსულია განცხადება ადაპტირებული გადასასვლელი ხიდის აშენების თაობაზე, თუმცა მერიის მიერ უგულებელყოფილი იქნა. ასევე სოციალურად დაუცველთა ბაზაში 2020 წლისთვის 7 ათას 369 ოჯახი იყო, 2021 წლისთვის 9 ათას 237 ოჯახი, ე.ი გაზრდილია 25%-ით. საქონელი და მომსახურება გაზრდილია, რადგან უშტატო თანამშრომლებია დამატებული.

საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე - ჩარმიქლის ქუჩაზე ცხრა სართულიანი სახლი სავალალო მდგომარეობაშია, სამხარაულის მიერ გაკეთებულია დასკვნა, თუმცა დღევანდელ ცვლილებაში არ ჩანს ამ სახლის რეაბილიტაცია. ასევე დასვა კითხვა საშტატო ერთეულის 500 ათასი ლარით გაზრდასთან დაკავშირებით. მან მერს მიმართა, რომ ბათუმის საბავშვო ბაღის ყოფილი თანამშრომელი შემჩნეული იყო სურსათის მოპარვაში, რომელიც განთავისუფლების შემდეგ დღეს დასაქმებული იქნა ბაღში მეთოდისტად.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიძიგური - დიდი მხარდაჭერაა კაპიტალური ტრანსფერის დამატება, რომელიც განაპირობა პანდემიამ, მან შეისწავლა წარმოდგენილი ცვლილებები, რომელიც მორგებულია მოსახლეობის მოთხოვნებზე. ტურისტულ სეზონზე გასაძლიერებელია საზედამხედველო და კონტროლის მექანიზმები.

საკრებულოს წევრი ირაკლი პატარიძე - მიესალმა ბიუჯეტს, რომელიც გაიზარდა 1/3-ით. მადლობა გადაუხადა ყველას ბიუჯეტის შედგენისთვის, თანხები გამოიყენება ქალაქისთვის. მიწისზედა გადასასვლელ ხიდთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დინამოს საფეხბურთო ბაზასთან დღეში 600-700 ბავშვი გადადის ავტომაგისტრალზე, სადაც მისაღებია უსაფრთხოების ზომები. დღევანდელ ბიუჯეტში, რომ ეხილა კარგი იქნებოდა.

საკრებულოს წევრი მუხამედ ართმელაძე - მისთვის მოულოდნელია ბიუჯეტის ეს ციფრები, პროექტით განხორციელებული პრობლემების მოგვარება მოსახლეობას შეუწყობს ხელს. ასევე 2021 წლის ბიუჯეტის

განხილვისას გამოიკვეთა სესხის გადავადების საკითხი, ამ მხრივ როგორაა საქმე. მან მოუწოდა ყველას, რომ კოვიდთან დაკავშირებით მაქსიმალურად დაიცვან რეგულაციები. ასევე აჭარის ბიუჯეტის ფარგლებში იქნება დასრულებული ნაგავსაყრელის პროექტი და ტერიტორია მთლიანად შეუწყობს სანაპირო ზოლის ათვისებას.

საკრებულოს წევრი გოჩა მგელაძე - წარმოდგენილი ბიუჯეტისათვის და სიკეთისათვის მადლობა გადაუხადა ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელს, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და საქართველოს მთავრობას, რადგან უკვე ოფიციალურად ბათუმის ბიუჯეტში შევიდა ცვლილება, სადაც აისახა ე.წ. შანხაის მოსახლეობისათვის სოციალური სახლის მშენებლობა.

საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე - 2014 წლიდან ყველა რეალური ზრდა ბიუჯეტის მაჩვენებლის ტეხილს მაღლა ზრდიდა და ეს ყოველთვის იყო მისთვის სასიამოვნო, თუმცა პანდემიის პერიოდმა ცოტა შეაჩერა და შეიძლება ითქვას, რომ დღეს უზარმაზარი ტეხილია გაკეთებული იმიტომ, რომ ძალიან მსუყე და მსხვილი დანამატია, რაც მოგვცემს იმის საშუალებას რიგ მოქალაქეებს არაერთხელ დასმული საჭიროებების ერთხელ და საბოლოოდ შესრულების, მათი ოცნებების ახდენის და ჩვენი ქალაქის ძლიერი განვითარებისთვის. მერიაში ძალიან კარგი გუნდია მერის ხელმძღვანელობით იმიტომ, რომ რიგ საკითხებზე პირადი კომუნიკაციის დროს ღებულობს ძალიან მოკლე, ლაკონურ, საქმიან შედეგზე ორიენტირებულ პასუხებს. ასევე მან აღნიშნა, რომ ბოლო სამი დღის დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, მუნიციპალური ინსპექციის მიერ საზედამხედველო საქმიანობის განხორციელება მიმდინარეობს სისტემატურად. მათ საზედამხედველო საქმიანობის განხორციელებას ვიდეთვალის არსებობა დაეხმარება.

საკრებულოს წევრმა ბესარიონ გოგოტიშვილმა მადლობა გადაუხადა ბათუმის მერს, რომ მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცათ ბინები და ისურვებდა აღნიშნული პროგრამის სამომავლოდ გაგრძელებას.

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ მადლობა გადაუხადა ბათუმის მერს კარგი მუშაობისთვის. მეგობრების რეაბილიტაცია და გარემონტება მიმდინარეობს ქალაქში და ფარნავაზ მეფის 36-ში არის ოჯახი, რომელიც ერთი წელია ცხოვრობს ნაქირავებში, რადგან სახურავია

დაზიანებული, რომელიც გასათვალისწინებელია სამომავლოდ.

საკრებულოს წევრმა ნერიმან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა მერს კარგად მოწოდებული ინფორმაციისთვის. ასევე კარგადაა გაწერილი ჯანდაცვის და სოციალურ სფეროში თანხები, რომელსაც ეთანხმება. ჯანდაცვის პროგრამები არის სამაგალითო და თანდათანობით იხვეწება, თუმცა მომავლისათვის გამოხატავს სურვილს, რომ ქრონიკულად დაავადებული პაციენტებისთვის მედიკამენტების შექმნაში მოხდეს დახმარების გათვალისწინება.

საკრებულოს წევრმა თამაზ დევაძემ მადლობა გადაუხადა მერს ინტენსიური შრომისათვის. ხალხზე და ქალაქზე მორგებულ ბიუჯეტს დაუჭერს მხარს.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ბათუმის მერმა კარგად ახსნა წარმოდგენილი საკითხი, პანდემიის შემდეგ დღეს კარგი დღე აქვთ, ბიუჯეტის ზრდა გამოიწვია ეკონომიური მხრიდან, რაც მოგვცა საშუალება, როგორც საქართველოში, ასევე აჭარაში შემოსავლები გაიზარდა, დაახლოებით 45 მილიონში 16 მილიონი არის ბათუმის შემოსავალი პრივატიზაციით შემოსული თანხები. ქალაქში კარგად ჩანს, თუ როგორ მუშაობს გამწვანების სამსახური, ბათუმის ბოტანიკური ბაღი და.ა.შ. მადლობა გადაუხადა ბათუმის მერიას, აჭარის ა.რ. და საქართველოს მთავრობას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კარგად ახსოვთ მიმდინარე წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას როგორი შეწუხებული იყვნენ, რომ საკმაოდ დიდი თანხა საჭირო იყო მოსახლეობის დასახმარებლად, მაგრამ თანხა არ იყო, ის დღეს წელგამართულია და მადლობა გადაუხადა ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფისთვის აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს. მას უნდა, რომ ასეთი გახარებული იყოს ახალი მოწვევის საკრებულო, რომელიც დაამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტს ასეთი ბიუჯეტი წლების განმავლობაში არ ჰქონია და დარწმუნებულია კენჭისყრისას მხარდაჭერა იქნება 100%.

ქალაქ ბათუმის მერის მ/შ-მ გასცა საკრებულოს წევრების მიერ დამულ კითხვებს პასუხები:

- მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებები კონკრეტულ გამარჯვებულ კომპანიას ეწურება 2021 წლის დეკემბრის თვეში, გამომდინარე ისინი მოქმედებენ ხელშე-

კრულების ვადების ფარგლებში, თუმცა შესაბამისი სამსახურის მჭიდრო კომუნიკაციის შესაბამისად, გოგოლის ქუჩაზე პირველი ასფალტი ბეტონის საფარი დაგებულია, ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და კოჭების მოწყობა დაიწყება უახლოეს პერიოდში. ბარცხანის ხიდზეც მიმდინარეობს ინტენსიობა, თუმცა ივლისის თვეში, რომ გაიხსნას გოგოლის ქუჩა, ეს მნიშვნელოვნად განტვირთავს.

-თამარის დასახლების ცენტრის მოწყობის საკითხს რაც შეეხება გარკვეული ტიპის მონახაზი აქვთ, ესკიზური ნაწილი წარმოდგენილია და შეეცდებიან, რომ მიმდინარე რესურსი და მოვლა-შენახვის კუთხით იქნეს გაღებული ხარჯები, არსებული ეკონომიკური საქმიანობა განახორციელოს ღირსეულ გარემოში თანამოქალაქეებმა, თუმცა საპირფარეშოების მოწყობის საკითხზე კონსულტაციები დასჭირდებათ იქ მცხოვრებ მოქალაქეებთან.

-შემოერთებულ ტერიტორიებზე მიწის რეგისტრაციის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გლობლურ ჭრილში განსახილველი საკითხია, რომელიც აღემატება მხოლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებს, გამომდინარე აქედან კომისიას პოლიტიკის განხორციელებისას ათასობით თანამოქალაქეებთან აქვთ კომუნიკაცია. განცხადებები ეტაპობრივად იცხრილება და გაეცემა კანონით შესაბამისი პასუხი, თუმცა გლობალურად გადასაჭრელ საკითხებთან დაკავშირებით აქვთ აჭარის უმაღლეს საბჭოსთან სამუშაო რეჟიმში მუშაობა. იმედია ეს საკითხებიც დადებითად გადაწყდება.

-ამხანაგობების წახალისების საკითხს რაც შეეხება ეს არის განსჯის საგანი, ინტენსიურ რეჟიმში შესაბამისი სამსახურები აქტიურად იქნებიან ჩართული.

-პორტის ტერიტორიაზე მინერალური სასუქების ტერმინალის მშენებლობასთან დაკავშირებით, იქ არსებულ რისკებზე და გამოწვევებზე, ტერმინალის განხორციელების საფუძველი იყო, რომ მანამდე ღია წესით ხდებოდა აღნიშნული ტვირთის დამუშავება, აღნიშნული ობიექტი ახლახან შევიდა ექსპლუატაციაში, რომელიც არის აჭარის მამტაბით ყველაზე მსხვილი ამერიკული ინვესტიცია 20 მილიონი აშშ ოდენობით, უსაფრთხოების და რიგი საკითხების მოწესრიგებასთან ერთად მნიშვნელოვანია ეკონომიკურად.

-ქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკის ნაწილში დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით, მათ შორის ველო ტრანსპორტის ნაწილში, სატრანსპორტო ადაპტირების ნაწილში, გლობლური გამოწვევის პირობებში გამონაბოლქვისა და

ეკოლოგიური დაბინძურების პირობებში უარი თქვა კერძო ტრანსპორტის მასიურ გამოყენებაზე და უნდა მოვიხმაროთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

-გონიოს ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით ნაგავსაყრელი მიმდინარე წლის ბოლომდე დაიხურება, რომელიც ეკოლოგიურ ტვირთს მოხსნის ქალაქს, პრაქტიკულად ქალაქს 8 კილომეტრის მოშორებით აქვთ ღია ტიპის ნაგავსაყრელი, რომელიც ვერანაირ სტანდარტებს და ეკოლოგიურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, დახურვის შემდეგ დაგეგმილია სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა, აჭარის მთავრობის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმდინარეობს კონკრეტულ პროექტებზე მუშაობა.

- საფერხმაველო ხიდების და გადასასვლელების სამშენებლო ნორმატივებში თანხვედრა - ეს არის მნიშვნელოვანი და მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმისას აუცილებლად იქნება ამგვარ საკითხებზე მსჯელობა.

რაც შეეხება ხალხის ოპოზიციას, ისინი ვერ მალავენ სიძულვილის ენას. პიროვნული შეურაცხყოფა მიუღებელია მისთვის, ვერ დაეთანხმება და ვერ უპასუხებს იმავე რიტორიკით. მუნიციპალური პოლიტიკა არის გამჭვირვალე და ყველა საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია კონკრეტული დოკუმენტაციის მოძიება. ძალიან ცუდია, რომ ამ დარბაზში ბათუმის ოპოზიციაც იხილა დღეს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 2 (ნ. დუმბაძე, ნ. ფუტყარაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 17 ივნისს საკრებულოს წევრის ნაზი ფუტკარაძის მიერ წარმოდგენილი №19/15211684-15 განცხადებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში შესვლის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №72 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 17 ივნისს საკრებულოს წევრის ნაზი ფუტკარაძის მიერ წარმოდგენილი №19/15211684-15 განცხადებით, საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიაში შესვლის თაობაზე.

მოქმედი კანონმდებლობისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად საჭიროა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებუ-

ლოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №72 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ი.თავართქილაძე — საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,
სხდომის მდივანი